

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ძიმითის მაჟორიტარი დეპუტატის ტიტე მგელაძის 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მოგესალმებით ბატონო და ძვირფასო ამომრჩევლებო...

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს 88-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვეყრდნობოდი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

საკრებულოს წევრი გავხდი პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით. 2018 წელს მონაწილეობა მივიღე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში 10-ჯერ რომელზედაც მიღებული იქნა 60-ნორმატიულ სამართლებრივი აქტი -დადგენილება და 91 -ინდივიდუალური აქტი განკარგულება. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორციელებდი საკრებულოს 2 მუდმივმოქმედ კომისიებში:

1. განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა.
2. სამანდატო საპროცედურო, იურდიულ საკითხთა და ეთიკის ~~შეფასების~~.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი. დავესწარი კომისიების სხდომებს 42-ჯერ და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს 10 სხდომას.

მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში, სულ 1 შეხვედრაში.

როგორც საკრებულოს წევრს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) ყოველთვიური გრაფიკის შესაბამისად სულ 55-ჯერ საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში და სოფელ ძიმითში. ამომრჩევლების (მოქალაქეების) მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და სოფლის ინფრასტრუქტურას.

სოფელ ძიმითში დაიწყო საჯარო სკოლის რემონტი რომელიც მიმდინარე წელს დასრულდება. კოხის უბანში აშენდა დაწყებითი სკოლის ახალი შენობა. საჭიროებისამებრ უბნების მიხედვით მოიხრემა შიდა გზები, უბნებში დაიდგა სანაგვე ურნები.

აქტიურად ვიყავი ჩართული საკრებულოს მიერ მისაღებ სამართლებრივ აქტების განხილვა-დამტკიცებაში კერძოდ: --- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების. --- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურის დებულების. --- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის და მიღების წესის დებულების. --- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ დებულების. --- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულების. --- სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დებულების.

მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს ყველა წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის და საკრებულოს აპარატს. მე, როგორც საკრებულოს წევრი, ვაგრძელებ აქტიურ მუშაობას, როგორც საკრებულოში ასევე ამომრჩეველთან.

**საკრებულოს წევრი
მაჟორიტარი**

დეპუტატი

ტიტე მგელაძე

04/022019 წ.